ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48220433**
თარიღი: **12/02/2022**
პინი: **3587**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა #27

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ

2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად

განხორციელებილი შესყიდვების შესახებ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის

გენადი ბალანჩივაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგახსენებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელს განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შემუშავდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლისა და 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“-ს შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შედგენისას, ერთიანი სისტემატიზებული ფორმით შეგროვდა და გაანალიზდა ინფორმაცია დაგეგმილი და წარმოებული სახელმწიფო შესყიდვების, არსებული და შესაძლო შესყიდვის ობიექტების პოტენციური მომწოდებლებისა და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე ორგანიზაციების, მათ მიერ საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების მოწოდებაზე გაკეთებული შემოთავაზებების, აგრეთვე მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის **2020 წლის 20 ნოემბრის №ბ48.48203253** ბრძანებით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წლის დასაწყისისათვის დამტკიცებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების შესაბამისად, შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული იქნა **3 543 610** ლარის საერთო (ჯამური) ღირებულების სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განხორციელება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის მე-3[1] პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში 2021 წლის განმავლობაში **40**-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები (ბიუჯეტის ცვლილებების შესაბამისად), რის შედეგად, 2021 წლის დასაწყისისათვის გეგმით გათვალისწინებული შესყიდვების საერთო (ჯამური) ღირებულება გაიზარდა და 2021 წლის საბიუჯეტო წლის დასრულებისათვის საერთო (ჯამური) ღირებულებით შეადგინა - **12 636 818** ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით, დამტკიცებული იქნა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რ.გ.ფ.) 2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტები (საწყის ეტაპზე - 9 პროექტი). საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მაისის №885, 2021 წლის 29 ივლისის №1297, 2021 წლის 21 დეკემბრის №2296 და 2020 წლის 27 დეკემბრის №2372 განკარგულებებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებაში, რითაც დამტკიცებული იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რ.გ.ფ.) 2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დამატებით განსახორციელებელი პროექტები (სულ - 22 პროექტი).

საბოლოოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რ.გ.ფ.) საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებებით დამტკიცებული იქნა 2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2021 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები

რ.გ.ფ.-ის დაფინანსებით

N	პროექტების დასახელება	გამარჯვებული ორგანიზაცია	2021 წლის სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)	პროექტის მიმდინარეობის აღწერა
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში გზის რეაბილიტაცია.	შპს "მიმდემი"	639 999,00	დასრულებულია საკასოთი
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. რიონში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა.	შპს დარია +	614 000,00	დასრულებულია საკასოთი
3	სოფელ ოფშკვითში (ინანეიშვილების უბანი) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს საქმილსადენმშენი	288 060,81	დასრულებულია საკასოთი
4	სოფელ ოფშკვითში (კაპანაძეების უბანი) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.		311 901,10	დასრულებულია საკასოთი

5	სოფელ ოფშკვითში (მარგველაშვილების უბანი) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.		399 947,09	დასრულებულია საკასოთი
6	სოფ.ქვიტირში (ბაბუნაშვილების უბანი) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს მიმდემი	494 494,00	დასრულებულია საკასოთი
7	სოფელ წყალტუბოში მე-2 უბნის და სოფ.ჩუნეშის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები (I ეტაპი).	შპს მიმდემი	550 550,00	დასრულებულია საკასოთი
8	სოფელ თერნალში ბზიკაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს მიმდემი	299 150,09	დასრულებულია საკასოთი
9	სოფელ გვიშტიბში №1 გზის (ბეკნარას უბანი) რეაბილიტაცია ბეტონის საფარით		387 535,91	დასრულებულია საკასოთი
10	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში №26 ქუჩის და სოფელ ხომულში სახერხის უბანში და წმინდა გიორგის ტაძართან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „მიმდემი“ ს/კ 412679061	198 673,00	დასრულებულია საკასოთი
11	სოფელ ქვილიშორში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.		167 323,00	დასრულებულია საკასოთი
12	სოფელ მუხიანში ბერძენაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.		177 615,00	დასრულებულია საკასოთი
13	სოფელ მუხიანი სულაკაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია		267 104,00	დასრულებულია საკასოთი

	ბეტონის საფარით.			
14	სოფელ წყალტუბოში მაჭარაშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.		95 070,00	დასრულებულია საკასოთი
15	სოფელ ფარცხანაყანევში №29 ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.		330 080,00	დასრულებულია საკასოთი
16	სოფელ წყალტუბოში მე-2 უბნის და სოფ. ჩუნეშის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	შპს „მიმდემი“ ს/კ 412679061	475 480,00	დასრულებული
17	სოფ. წყალტუბოში №10 ქუჩის, სოფელ გვიშტიბში №35 ქუჩისა და სკოლის გზების, ასევე სოფელ გვიშტიბში ბეკნარას უბანში გზის (გაგრძელება) რეაბილიტაცია ბეტონის საფარით		573 520,00	დასრულებული
18	წყალტუბოს ჭავჭავაძის ქ. №10, დედა ენის ქ. №9 და ბესიკის ქ. №1 ბინებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.		93 144,00	დასრულებულია საკასოთი
19	წყალტუბოში გოგებაშვილის ქუჩაზე №2 და №2ა ბინების მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია		80 438,00	დასრულებული
20	სოფელ ფარცხანაყანევში კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში სკოლასან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	შპს „მიმდემი“ ს/კ 412679061	138 872,00	დასრულებულია საკასოთი

21	სოფელ ქვიტირში №17 ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.		60 145,00	დასრულებულია საკასოთი
22	სოფელ გეგუთში გიგიაძეების და მაჩალაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.		114 478,00	დასრულებულია საკასოთი

სულ ჯამი: 6 757 580 . 00

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რ.გ.ფ.) დაფინანსებით პროექტების საერთო (ჯამური) ღირებულებად განისაზღვრა **6 757 580** *ლარი,* მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან – ***6 419 701*** *ლარი,* ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით თანადაფინანსება (შევსება) – ***337 879*** *ლარი*, რაც შესაბამისად გაიწერა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტსა და შესყიდვების გეგმაში.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის №168 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2021 წ. სოფლის მხარდაჭერის პროექტები				
№	სოფელი	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)	პროექტის მიმდინარეობის აღწერა
1	გეგუთი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	10,000	დასრულებული
2	გეგუთი	გარე განათების ქსელის მოწყობა	10,000	დასრულებული
3	გვიშტიბი	სანიაღვრე არხების მოწყობა	20,000	დასრულებული
4	გუბისწყალი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	16,000	დასრულებული
5	თერნალი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	16,000	დასრულებული
6	პირველი წყალტუბო	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	12,000	დასრულებული
7	გუმბრა	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	20,000	დასრულებული
8	ბანოჯა	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	20,000	დასრულებული

9	ხომული	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	20,000	დასრულებული
10	დღნორისა	სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია	5,000	დასრულებული
11	დღნორისა	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	14,000	დასრულებული
12	ლეხიდრისთავი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	10,000	დასრულებული
13	საჩხეური	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	10,000	დასრულებული
14	ჭაშლეთი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	20,000	დასრულებული
15	მაღლაკი	გარე განათების ქსელის მოწყობა	20,000	დასრულებული
16	მიწაწითელი	სტადიონისთის სამშენებლო მასალების შეძენა	12,000	დასრულებული
17	მექვენა	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	10,000	დასრულებული
18	ბენთქოულა	სამშენებლო მასალების შეძენა სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაციისათვის	10,000	დასრულებული
19	დერჩი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	8000	დასრულებული
20	დერჩი	500 მ სიგრძის სასმელი წყლის 50 მმ დიამეტრის პლასტმასის მილების შეძენა	2000	დასრულებული
21	ვანისჭალა	ტაძართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	10000	დასრულებული
22	ზედა ონჭეიში	2 ცალი 500 ლ ტევადობის სასმელი წყლის რეზერვუარის, 2 წყლის ტუმბოს და 32 მმ დიამეტრის პლასტმასის მილების შეძენა	10,000	დასრულებული
23	ქვედა ონჭეიში	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	8,000	დასრულებული
	ქვედა	სასმელი წყლის 32 მმ		

24	ონჭეიში	დიამეტრის პლასტმასის მილების შეძენა	2,000	დასრულებული
25	მუხიანი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	20,000	დასრულებული
26	უკანეთი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	12,000	დასრულებული
27	ქვედა მესხეთი	სკვერის მოწყობა	20,000	დასრულებული
28	ოფურჩხეთი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	16000	დასრულებული
29	გუმათი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	16000	დასრულებული
30	ნამოხვანი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	10000	დასრულებული
31	ჟონეთი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	12000	დასრულებული
32	ჯიმასტარო	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	12,000	დასრულებული
33	ოფშკვითი	გარე განათების ქსელის მოწყობა	20,000	დასრულებული
34	პატრიკეთი	სოფლის ცენტრში სკვერის მოწყობა	20,000	დასრულებული
35	ტყაჩირი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	35,000	დასრულებული
36	რიონი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	20,000	დასრულებული
37	ზარათი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	12,000	დასრულებული
38	მეჩხერი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	10,000	დასრულებული
39	ნოღა	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	10,000	დასრულებული
40	სორმონი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	12,000	დასრულებული
		მზა ბეტონის შეძენა სოფლის		

41	ჭოლევი	შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	10,000	დასრულებული
42	საყულია	გარე განათების ქსელის მოწყობა	10,000	დასრულებული
43	საყულია	სამშენებლო მასალების შეძენა ამბულატორიის რეაბილიტაციისათვის	10,000	დასრულებული
44	ფარცხანაყანევი	სკვერის მოწყობა ფარცხანაყანევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზოში	30,000	დასრულებული
45	ქვიტირი	სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია	20,000	დასრულებული
46	ზედა მესხეთი	საბავშვო ბაღის სააქტო დარბაზის რეაბილიტაცია	20,000	დასრულებული
47	ცხუნკური	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	16,000	დასრულებული
48	ყუმისთავი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	16,000	დასრულებული
49	ზედა ჩუნეში	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	10,000	დასრულებული
50	სოფ. წყალტუბო	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	20,000	დასრულებული
51	ქვილიშორი	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	16,000	დასრულებული
52	ჩუნეში	მზა ბეტონის შეძენა სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის	16,000	დასრულებული

2021 წელს სოფლის მხარდაჭერის პროექტების საერთო (ჯამურმა) ღირებულებამ შეადგინა **746 000** ლარი, მათ შორის მთავრობის განკარგულებით - **704 000** ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით - **42 000** ლარი.

„2020 – 2022 წ.წ. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების საგრანტო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს №168 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტები:

1	ქალაქ წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიაზე ბიზნესისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნის მიზნით, თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებაზე, შპს ჰერბია-სთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ასფალტო ბეტონის საფარით	1 329 754 ლარი
	ქ. წყალტუბოში, „ცივი ტბის“ მიმდებარე	

2	ტერიტორიაზე სანიტარული წერტილების მოწყობა	92 294 ლარი
ჯამი:		**1 422 048 ლარი**

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 აპრილის №589 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტი:

2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი სოფლის პროექტი

№	პროექტების დასახელება	პროექტის ღირებულება
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ლეხინდრისთავში (ლეხინდრისთავი ლეყერეთის) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით	439 227 ლარი

მათ შორის: მთავრობის განკარგულებით - 400 000 ლარი,

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით - 39 227 ლარი.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №147 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სკოლების რემონტის/რეაბილიტაციის შემდეგი პროექტები:

2021 წლის სკოლების რემონტის/რეაბილიტაციის პროექტები

№	სკოლა	სამუშაოები	პროექტის ღირებულება
1	სოფელ გვიშტიბის საჯარო სკოლა	ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა	29 601 . 00
2	სოფელ უკანეთის საჯარო სკოლა	სახურავის რეაბილიტაცია	12 865 . 49
3	ქალაქ წყალტუბოს N1 საჯარო სკოლა	კორპუსებს შორის სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია	9 770 . 13
4	ქალაქ წყალტუბოს N2 საჯარო სკოლა	კარ-ფანჯრების შეცვლა	14 100 . 00
5	სოფელ გვიშტიბის საჯარო სკოლა	გათბობის სისტემის დამატებითი ქვაბის მოწყობის სამუშაოები	4 289 . 00
		სკოლის სახურავის	

6	ქალაქ წყალტუბოს N3 საჯარო სკოლა	ნაწილობრივი შეკეთების სამუშაოები	4 237 . 98
		სულ:	**74 863 . 60 ლარი**

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №147 განკარგულებით დამტკიცებული იქნა 2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მოსწავლეების გადაყვანის (სატრანსპორტო მომსახურების) უზრუნველყოფის პროექტი, ღირებულებით სულ - 264 833 , 59 ლარი (მათ შორის: გამარტივებული სესყიდვის საშუალებით დადებული №8-2021 ხელშეკრულება - 36 201 , 85 ლარი და CON210000014 კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად დადებული №20 -2021 ხელშეკრულება - 228 631 , 74 ლარი).

2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები (მათ შორის 5 გარდამავალი პროექტი 2021 – 2022 წ.წ.)

N	პროექტების დასახელება	პროექტის ღირებულება
1	სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში ქალაქ წყალტუბოში, ლორთქიფანიძის ქუჩა #1-ის მიმდებარედ, მესხისა და გ. ტაბიძის ქუჩებზე, ასევე ნინოშვილის ქუჩაზე #1 ჩიხის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოები.	136 857 . 00
2	სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში ქალაქ წყალტუბოში, გურამიშვილის ქუჩა #4 და #6 კორპუსებს შორის არსებული არტეზიული ჭასთან მისასვლელი გზის და მიმდებარე ტერიტორიის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის, ყაზბეგის ქუჩა #17-ის მიმდებარედ საფეხმავლო ბილიკის კიბის უჯრედებით და სანიაღვრე არხის მოწყობის, ასევე ბარათაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.	45 015 . 00
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდისა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის სამუშაოები	25 000 . 00
4	ქალაქ წყალტუბოში ჭავჭავაძის ქუჩა N3 ბინის მიმდებარედ, ჭავჭავაძის ქუჩის მე-2 ჩიხში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე და ცენტრალურ სტადიონთან მისასვლელი გზების ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები	128 444 . 09
5	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. მუხიანში, ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის N2 საცხოვრებელი ბინების სახურავის მოწყობის სამუშაოები	18 871 . 22
6	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში, სკოლასთან მისასვლელი გზის და სოფელ წყალტუბოში 26-ე ქუჩაზე გზის ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაცია	70 684 . 00
	ქალაქ წყალტუბოში, აკ. შანიძის ქ. №4ა-ში არსებული	

7	საცხოვრებელი ბინის სახურავის შეკეთების სამუშაოები	4 499 . 95
8	ქ. წყალტუბოში, დედაენის ქუჩა N5 საცხოვრებელი ბინის სახურავის შეკეთების სამუშაოები	19 132 . 52
9	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) N15 საცხოვრებელი ბინის სახურავის შეკეთების სამუშაოები	16 470 . 44
10	ქ. წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩის მე-2 შესახვევში, №29-ში საცხოვრებელი ბინის სახურავის შეკეთების სამუშაოები	20 976 . 86
11	ქ. წყალტუბოში, დედაენის ქუჩის მე-5 ჩიხის №2 საცხოვრებელი ბინის სახურავის შეკეთების სამუშაოები	17 349,54
12	ქალაქ წყალტუბოში ქუთაისის ქუჩაზე არსებული სახიდე გადასასვლელის აღდგენის სამუშაოები	36 642 . 11
13	ქალაქ წყალტუბოში, დედაენის ქუჩა №13 საცხოვრებელი ბინის სახურავის შეკეთების სამუშაოების შესყიდვა.	25 949 . 00
14	ქალაქ წყალტუბოში, თბილისის, გორგასლის, ყაზბეგის, ჭონქაძის ქუჩებზე სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისა და გამსახურდიას ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები.	273 983 . 85
15	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები	49 000 . 00
16	ქალაქ წყალტუბოში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, თამარ-მეფის ქუჩაზე, ჩოლოყაშვილის ქუჩა №1 და თბილისის ქუჩა №1 ბინების მიმდებარედ სკვერებისა და ატრაქციონების მოწყობის სამუშაოები	237 748 . 57
17	ქ. წყალტუბოში გ. ტაბიძის ქ. №19 საცხოვრებელი ბინის სახურავის მოწყობის სამუშაოები	31 684 . 00
18	სოფელ ყუმისთავში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა	83 200 . 00
19	სოფელ ცხუნკურში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა	43 200 . 00
20	სოფელ ხომულში სასმელი წყლის ქსელის მოწყობა	84 300 . 00
21	სოფელ წყალტუბოში მე-8 ქუჩაზე კედლის მოწყობისა და გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის, აგრეთვე სოფელ წყალტუბოში იმერეთის ქუჩის გაგრძელებაზე გზის ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაცია	135 000 . 00

22	ქალაქ წყალტუბოში, ქუთაისის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	155 501 . 00
23	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში (სვანების დასახლება) მინი სპორტული მოედნის მოწყობა- რეაბილიტაციის სამუშაოები	94 999 . 70
24	ქალაქ წყალტუბოში, მუსიკალური სკოლის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები	73 999 . 51
25	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში (ჯანელიძეების უბანი), სოფელ საყულიაში (ორი შიდა საუბნო გზა), ასევე ქალაქ წყალტუბოში შარტავას და ყაზბეგის ქუჩებზე გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოებისა და კოსტავას ქუჩაზე №4 ბინის მიმდებარედ კედლის მოწყობის სამუშაოები	108 500 . 00
26	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში მე-5 ქუჩაზე გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები	128 897 . 59
27	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში (ქაჭარის უბანი) და სოფელ საყულიაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები	126 996 . 27
28	2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევში, ამაღლების უბანში №60 ქუჩაზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (გარდამავალი 2021-2022 წ.წ.)	214 533 . 98
29	2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების რიონისა და სორმონის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (გარდამავალი 2021-2022 წ.წ.)	1 096 193 . 00
30	ქალაქ წყალტუბოში, გოგებაშვილის ქუჩის №2ბ ბინის მიმდებარედ გზის რეაბილიტაციის, ასევე 2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების პატრიკეთისა და გეგუთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (გარდამავალი 2021-2022 წ.წ.)	249 000 . 00
31	2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, მე-8 და მე-9 ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაციის სამუშაოები (გარდამავალი 2021-2022 წ.წ.)	477 493 . 00
32	2021-2022 წლების დაფინანსების ფარგლებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელის გზის რეაბილიტაციის, ასევე სოფელ ჩუნეშში ტაძართან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	549 000 . 00

	(გარდამავალი 2021-2022 წ.წ.)	
	ჯამი:	**1 768 009 . 15 ლარი**

2021 წლის განმავლობაში მიმწოდებლებთან დადგენილი წესით დადებული ყველა სახის 202 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების საერთო (ჯამურმა) ღირებულებამ შეადგინა **15 165 819 , 11** ლარი (მათ შორის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში გამარჯვებულ მიმწოდებლებთან 2021 წლის განმავლობაში დადებული ხელშეკრულებების საერთო (ჯამური) ღირებულება - **14 317 804 , 33** ლარი, კონსოლიდირებული ტენდერების შედეგად დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება - **387 988 , 53** ლარი და გამარტივებული შესყიდვების საშუალებით დადებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება - **460 026 , 25** ლარი).

2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით სულ გამოცხადებულია **143** ელექტრონული ტენდერი. **აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეთა საშუალო რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 3-მდე პრეტენდენტს, რაც კონკურენტული გარემოს მაჩვენებელია, ტენდერების შედეგად მიღებული საშუალო წლიური თანხობრივი ეკონომია (დანაზოგი) შეადგენს დაახლოებით 10%-ს.**

2021 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის მიერ სულ განხილულია **408** საკითხი, **153** ელექტრონულ შესყიდვაზე (მათ შორის 10 კონსოლიდირებულ ტენდერზე) განხორციელებულია შესაბამისი პროცედურები (სატენდერო პირობების შედგენა/დამტკიცება, ტენდერის გამოცხადება, შერჩევა - შეფასება, გამარჯვებულის გამოვლენა, ხელშეკრულების დასადებად მოწვევა და სხვა), ამავე პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია სათანადო დოკუმენტაცია (ჯამში ათასობით ნაბეჭდი ფურცლის დასკანერებული და დაფორმატებული (pdf/xlsx) ასლები: ხელშეკრულებები, მიღება - ჩაბარების აქტები, შესრულებული სამუშაოების აქტები, საექსპერტო/აუდიტორული დასკვნები, ფაქტობრივი გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა).

2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ყოველი შესყიდვის პროცედურების დაწყებამდე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები შესყიდვის კონკრეტული ობიექტების მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების, ბაზრის კვლევის, პოტენციური მომწოდებლების მოძიების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა სატენდერო დოკუმენტაციის სტანდარტული სარეკომენდაციო პროექტები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სრულად ხელმძღვანელობს აღნიშნული რეკომენდაციებით, აგრეთვე, კონკრეტული ტენდერის გამოცხადებამდე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შეთანხმებისათვის წინასწარ ეგზავნება თითოეული ელექტრონული შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია, მათ შორის - ტექნიკური მოთხოვნები და ხელშეკრულების პროექტი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №2 დადგენილებით ცვლილება შევიდა „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯებში გაიწერა 2021 წლიდან გარდამავალი ვალდებულებები, რომელთა შესაბამისი შესყიდვები ან/და თანხის ანაზღაურება განხორციელდება 2022 წელს. აღნიშნულის საფუძველზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში განხორციელდა შესაბამისი კორექტირება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2021 სახელმწიფო შესყიდვების გეგმით

გათვალისწინებული ყველა შესყიდვა განხორციელებილია დადგენილი წესების, პროცედურებისა და ვადების დაცვით, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი შემდეგი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი, საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებები და განკარგულებები, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბერის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი", სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები და მეთოდური მითითებები, აგრეთვე სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტები (სახელმწიფო შესყიდვების წესებსა და პროცედურებს არეგულირებს 30-ზე მეტი სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ასევე სხვადასხვა მეთოდური მითითებები).

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge